საქართველოს
ეროვნული პლატფორმა

აღმოსავლეთ პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა

თარიღი: 16 ივლისი, 2023 წელი

დრო: 18:00 - 20:00

შეხვედრის ადგილი: Zoom

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ნინო ჩხობაძე - საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები
2. ლაშა ტუღუში - ლიბერალური აკადემია თბილისი
3. კონსტანტინე ჟღენტი - საქართველოს ბიზნეს საკონსულტაციო ორგანიზაციების ასოციაცია
4. ქეთევან ცხაკაია - იმერეთის მხარის მეცნიერთა კავშირი ,,სპექტრი”
5. ნუგზარ კოხრეიძე - სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბი „თაობათა დიალოგი“
6. ცირა მესხიშვილი - სამცხე-ჯავახეთის რეგიონული ასოციაცია „ტოლერანტი“
7. ირინა ფუტკარაძე - საზოგადოებრივი დამცველი

განსახილველი საკითხები:

1. საქართველოს პლატფორმისა და პარლამენტის ერთობლივი კონფერენცია

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა გახსნა მმართველი კომიტეტის თავმჯდომარე, ნინო ჩხობაძემ.
საქართველოს ეროვნული პლატფორმა და პარლამენტი მიმდინარე წელს პირველად გამართავენ ერთობლივ კონფერენციას. ჩვენი ქვეყნისთვის ამ მეტად მნიშვნელოვან პერიოდში აუცილებელია არსებობდეს დიალოგის ფორმატები, რომელიც ორიენტირებული იქნება მთავარი მიზსნის მიღწევაზე, მივიღოთ ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი. პირველ ერთობლივ კონფერენციაზე განხილული იქნება სწორედ კანდიდატის სტატუსის მისაღებად შესასრულებელი 12 პუნქტიანი რეკომენდაციების მიმართულებით არსებული ვითარება.
საკოორდიანციო საბჭოს თავმჯდომარისა და მისი მოადგილის მიერ, შემუშავდა კონფერენციის დღის წესრიგის სამუშაო ვერსია, რომელიც განიხილეს საბჭოზე. კონფერენცია დაეთმობა იმ 9 რეკომენდაციის განხილვას, რომელიც ამ დრომდე არ არის შეფასებული, როგორც „შესრულებული“.
დღის წესრიგის სამუშაო ვერსიით კონფერენციის გახსნით ნაწილში მონაწილეებს მიესალმებიან საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარე და დელეგაციის ელჩი. ასევე მომდენო გახსნითი პანელი დაეთმობა ზოგად მიმოხილვას 12 პუნქტიანი რეკომენდაციების ირგვლივ.
დღის წესრიგით გაიწერა პანელური დისკუსიები თემატური საკითხების განსახილველად.
ეროვნული პლატფორმის საკოოდინაციო საბჭო მიიჩნევს, რომ მნიშვნელოვანია დიალოგის ამ ფორმატში პარლამენტის მხრიდან წარმოდგენილი იყოს ყველა მიმართულების პასუხისმგებელი პირები. თავის მხრივ ეროვნული პლატფორმა უზრუნველყოფს თითოეული პანელისთვის წევრი ორგანიზაციების წარდგენას მომხსენებლებად. ასევე, საკოორდინაციო საბჭოს ერთსულოვანი გადაწყვეტილებით, კონფერენციის ყველა პანელში მომხსენებლად აუცილებლად უნდა იყოს მოწვეული საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენელი. ასევე მნიშვნელოვანია ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენელთა მოწვევა ერთობლივ კონფერენციაზე.

დღის წესრიგის სამუშაო ვერსია გაზიარდება პარლამენტთან და მომდევნო კვირაში სამუშო სეხვედრა გაიმართება პარლამენტის თავმჯდომარესთან, რათა შეთანხმდეს კონფერენციის საბოლოო დღის წესრიგი.

ერთსაათიანი მსჯელობის შემდეგ შეხვედრა დასრულდა

შეხვედრის მდივანი: ქეთევან ჭურაძე